

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“ მისაღები გამოცდების/შემოქმედებითი ტურების მოთხოვნები

სპეციალობა - „სოლო აკადემიური სიმღერა“

შემოქმედებითი ტურები:

1. სპეციალობა;

2. მუსიკის თეორია:

სოლფეჯიო – სმენითი ანალიზი (წერა), ფურცლიდან კითხვა (ზეპირი),

ტესტი მუსიკის ელემენტარულ თეორიაში (წერა).

აბიტურიენტის ცოდნა თითოეულ ტურში ფასდება ასქულიანი (100) სისტემით; დადებითი შეფასებაა 51-100.

1.სპეციალობა:

აბიტურიენტმა უნდა შეასრულოს:

1. ბაროკოს ეპოქის ნაწარმოები;
2. ნებისმიერი არია ბაროკოს ეპოქის გარდა;
3. ერთი კამერული ნაწარმოები.

2.მუსიკის თეორია:

აბიტურიენტმა სმენითი ანალიზი უნდა ჩაწეროს აუდიო ჩანაწერის (ფორტეპიანოზე შესრულებულის) მიხედვით

სმენით ანალიზი:

1. კილო: სამი სახის მაჟორი, სამი სახის მინორი, დიატონური კილოები (მიქსოლიდიური, ლიდიური, ფრიგიული, დორიული) მაჟორული და მინორული პენტატონიკა. (გამოცდაზე შესრულდება 7 კილო, თითოეული დაიკვრება 3-ჯერ)
2. ინტერვალები: მარტივი ყველა სახის წმინდა, დიდი და პატარა. (გამოცდაზე შესრულდება 7 ინტერვალი, თითოეული დაიკვრება 3-ჯერ)
3. აკორდები: სამხმოვანება - ოთხი სახის, სექსტაკორდი და კვარტსექსტაკორდი - მაჟორული და მინორული, სეპტაკორდი - მცირე მაჟორული და მისი შებრუნებები; მცირე მინორული, მცირე შემცირებული, შემცირებული ძირითადი სახით. (გამოცდაზე შესრულდება 7 აკორდი, თითოეული დაიკვრება 3-ჯერ)

სოლფეჯირება:

ერთხმიანი ნიმუშის ფურცლიდან კითხვა (მარტივი, ერთტონალური, მელოდიური, არ უნდა შეიცავდეს ქრომატიზმებს, დიდ ნახტომებს, ლიგებს, არ უნდა იყოს რთული ზომა და 2-ზე მეტი საგასაღებო ნიშანი).

ტესტი მუსიკის ელემენტარულ თეორიაში (მუშაობის დრო - 2 ასტრონომიული საათი).

ტესტი შეიცავს 10 საკითხს მუსიკის ელემენტარული თეორიის კურსიდან.

1. ზგერა და მისი თვისებები.
2. ზგერათრიგი.
3. სანოტო დამწერლობა.
4. მეტრი. რიტმი.
5. ინტერვალები.
6. აკორდები.
7. კილო. ტონალობა.
8. ქრომატიზმი.
9. ტრანსპოზიცია.
10. ტემპი. აგოგიკა. დინამიკა.
11. მელიზმები.
12. მელიოდია.